# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №251/ნ
## 2012 წლის 17 დეკემბერი

## ქ. თბილისი

## „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში (სსმ №126, 01/10/2010, სარეგისტრაციო კოდი – 430030000.22.022.016012) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-40 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლებისა და**
**მეცნიერების მინისტრი** — **გიორგი მარგველაშვილი**